



ხრეთის საზოგადოებრივი ცენტრი

იხილეთ მე-3 გვერდზე



ARMY CARD
თავდასვის უწყების თანამშრომლებისთვის

იხილეთ მე-2 გვერდზე

„სანამ უჩემი გადახრუნდება...“

მიიღეთ ზომები, რომ ვერც ტრაგედია ქუთაისში არ განმეორდეს

ქუთაისში ახალგაზრდობა და არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი აპროტესტებს „ოქროს ჩარდახთან“ მდებარე სკვერში კაფე-ბარ „არგოს“ მშენებლობას.

საპროტესტო აქცია უკვე რამდენჯერმე მოეწყო მშენებლობის ადგილას, თუმცა, სამწუხაროდ ჯერჯერობით ხელისუფლებისგან დუმშილია მხოლოდ.

„არგოს“ მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის ორგანიზებას 10 არასამთავრობო ორგანიზაცია ხელმძღვანელობს: „ვერობა ჩვენი სახლია“; „საზოგადოების უფლებები“; „ლიბერალური კლუბი“; უნივერსიტეტი „ლაშა-

რი“; საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ცენტრი; „ეკოლოგიის მცველები“; „უფლებებისთვისა და განათლებისთვის“; „ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი“; იმერეთის საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი; სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ვერობა ჩვენი სახლია“ დამფუძნებელი-მა თორნიკე ბარათაშვილმა გარემოს დაცვის მინისტრს გივლა აგულაშვილს და გარემოს ეროვნულ სააგენტოს და წერილობით მიმართა. ბარათაშვილი მათგან, ქუთაისში, „ოქროს ჩარდახის“

მიმდებარე ტერიტორიაზე კაფე „არგოს“ მშენებლობის საკითხით დაინტერესებას ითხოვს და ვერც ხეობის ტრაგედიის შემდგომ მინისტრის გაკეთებულ განცხადებას იხსენებს: „არ არის სასურველი ჭალაში, მდინარის ორივე ნაპირზე, გაშენდეს რაიმე, მშენებლობა ამ ტერიტორიაზე ჩვენი სპეციალისტების მიერ არ არის რეკომენდებული.“

თორნიკე ბარათაშვილი ბატონ გივლას მიმართავს და წერს: „ქუთაისის მერიის ნებართვით, რასაც სააგენტომ მიიღო გზების დეპარტამენტის ეთანხმება, რომის ხეობაში, ისტორიულ ცენტრში, „ოქროს ჩარდახის“ სიახლო-



2006



2016

ვეს, მიმდინარეობს კაფე-ბარის „არგოს“ მშენებლობა. რიონი გაცილებით უფრო მკაცრი და წყალუხვი მდინარეა, ვიდრე ვერე. პერიოდულად ახასიათებს წყალმოვარდნა, რომლის დროს აღნიშნული ტერიტორია წყლით იფარება.

მიიღეთ ზომები, რომ ვერც ტრაგედია ქუთაისში არ განმეორდეს. მერიის წარმომადგენელმა კითხვაზე, ვინ აიღებს ტრაგედიის შემთხვევაში პასუხის-

მეგობრებს, ასეთი პასუხი გავცვა: „ღმერთმა ნუ ქნას!“ მერიამო ვიუტოტონ!

იყავით უფრო სერიოზულები და გამართლეთ სამინისტროს და შესაბამისი დეპარტამენტების არსებობა, - აცხადებს თორნიკე ბარათაშვილი.

იქნებ, მართლაც სჯობს, შესაბამისმა უწყებებმა მანამდე მიიღონ გადაწყვეტი ზომები, ვიდრე „ურემი გადაბრუნებული“...

„გვირილობა“ თუ „ქუთაისობა“? — საკითხავი, აი, ეს არის...



ქუთაისის მერმა „გვირილობის“ შესახებრი გაიღო

იხილეთ მე-2 გვერდზე

ორეტაპიანი პედაგოგიური განათლების რეფორმა დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პედაგოგიური განათლების რეფორმის განხორციელება დაიწყო. რეფორმა ორეტაპიანია – საშუალო და გარეკლავადიანი. საშუალოვადიან პერიოდში, მოხდება კადრების თანამედროვე მეთოდოლოგიით მომზადება. კერძოდ, სექტებრიდან ამოქმედდება მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტი), რითაც უმაღლესი განათლების მქონე პირს, რომელსაც პედაგოგობის სურვილი აქვს, ექნება შესაძლებლობა, გაიაროს შესაბამისი საუნივერსიტეტო პროგრამა და გახდეს მასწავლებელი.

პროგრამაზე მსურველების დაფინანსება მოხდება დეფიციტების მიხედვით, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, რისთვისაც სახელმწიფომ სპეციალური პროგრამა უკვე დააფინანსა. ერთწლიანი პროგრამა აწყობილია იმგვარად, რომ უზრუნველყოფს საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებას და მასწავლებლის უნივერსიტეტში მომზადებას. მოტივაციის ამაღლების და ახალი კადრების მოზიდვის მიზნით, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ მოსამზადებელი პროგრამის შედეგად, მასწავლებელი შევა სკოლაში პროფესიული განვითარების იმ საფეხურზე, სადაც მას საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასთან გათანაბრებული ანაზღაურება ექნება. რაც შეეხება 2016-2017 წლის გრძელვადიან სამოქმედო გეგმას – წელს შემუშავდება 300 კრედიტის პროგრამები, რომელიც 2017-2018 წელს ამოქმედდება. გრძელვადიანი საუნივერსიტეტო პედაგოგიური განათლების რეფორმის ფარგლებში, 2017-2018 სასწავლო წლიდან მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა ამოქმედდება.

Silk Up მობილური აპლიკაციის სილქნეტისგან



Available on the App Store
 Available on the Google play



PS news.ge



200-ზე მეტი სერვისი სოფლიდან გაუსვლელად

სოფელი ხრეთი ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხოვნობით, ჰიდრომეტრიით, ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალითა და ორგანულ-აგრო-რესურსული ბაზით. 2002 წელს სოფელში 3 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა. ადგილობრივების ძირითადი საქმიანობა აგროსფეროს მიეკუთვნება (მემცენარეობა, მეცხოველეობა), თუმცა, ხრეთის აქვს იმის პოტენციალი, რომ განვითარდეს მომსახურების დარგებიდან ყველაზე მეტად ტურიზმი.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ სოფელში არის ცნობილი მთამ-სველეების (სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები) სახლ-მუზეუმი, ფეოდალური პერიოდის ორი ციხე-დარბაზი, დაუავადებელი კოლხური ბზის კორომი, მოქანავე ლოდი „ქვაყუთია“, რომელიც წონით ოდნავ ჩამორჩება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მოქანავე ლოდს, არაერთი ჰიდროგრაფიული სანახობა და უმოკლესი გზა რაჭისაკენ, ხრეთი საინტერესო ტურისტული მარშრუტის მნიშვნელოვანი ნაწილია (სოფლის სახელი, ეტიმოლოგთა განმარტებით, „ღრე“-დან უნდა იყოს მიღებული, რაც ღორიან ტყეს ნიშნავს. ხრეთი, როგორც ტოპონიმი, მე-16 საუკუნეში გვხვდება ისტორიულ წყაროებში). ჰიპოთეზისა და საფუძვლად ტურიზმის თვალსაზრისით ამ ტერიტორიის მართლაც დიდი პოტენციალი აქვს, რომლის პოპულარიზაციაც ზედმიწევნით საჩქაროა.

თუ ხრეთი ტურისტულ ინტერესში მოხვდება, მაშინ ამ სოფლის პრესტიჟის განმსაზღვრელი იქნება საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც საკომუნიკაციო თვალსაზრისითაც, შესაძლოა, გამოიყენოს მოგზაურმა.

ცნობილია, რომ საქართველოს სოფლების აბსოლუტური უმრავლესობა დეპოპულაციას განიცდის. სოფელში სამუშაო ადგილების შექმნა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ბაზებზე წვდომა და ეკონომიკური აქტივების გაჩენა არის იმის საფუძველი, რომ გლახმა არ დატოვოს თავისი საცხოვრებელი ტერიტორია. მართალია, საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური მიდგომა მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის (დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში სოფლის მოსახლეობის 40%-ზე ნაკლებია ჩართული აგრო-სექტორში) და საჭიროა მეტი სამუშაო ადგილის შექმნა სოფლად. ხრეთისათვის, ამ მხრივ, უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი — ამოქმედებულია საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც არა მარტო სერვისების მიღება საუფლისხმო, არამედ — დასაქმების მასშტაბიც.

200-ზე მეტი დასახელების სერვისი, რომლის მიღებაც ხრეთის საზოგადოებრივი ცენტრშია შესაძლებელი, ადგილობრივ მოსახლეობას უადვი-

ლად დანაკარგსაც. როგორც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი პირები გვამცნობენ: „საზოგადოებრივი ცენტრი ხრეთში მცხოვრებ 3000-მდე მომხმარებელს ემსახურება. ცენტრში მუშაობს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აქვე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკაც. საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნი-

კით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლება.“ ჩვენ დავეუკავშირდით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ხრეთის ტერიტორიულ ერთეულში, არჩილ ჯაფარიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა

მისდამი რწმუნებულ ტერიტორიულ ერთეულში ერთ-ერთი ყველაზე გონივრული და საჭირო გადაწყვეტილება იყო: „სოფლის მოსახლეობა ძირითადად საზოგადოებრივ ცენტრს პირადობის მოწმობისა და პენსიის ასაღებად, სოციალური განაცხადების შესავსებად აკითხავს. აქვეა „მათიკომის“ და „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლობაც, რომლებიც საბანკო-საკომუნიკაციო საკითხების მოგვარებაში ეხმარება მოსახლეობას. დროის მცირე მონაკვეთში ადგილობრივები ყველა იმ სერვისით სარგებლობენ, რაც მათ შეუძლიათ ჭიათურასა თუ ნებისმიერ ქალაქში.“


მეტი მიჯნაზე (ჭიათურის მუნიციპალიტეტის მცხოვრები): „ხრეთში მამას ადრე ჰქონდა სატბორე მეურნეობა, ახლა ჩვენ ვცდილობთ მცირე ბიზნესის წამოწყებას ამ მიმართულებით და ყველა იმ დოკუმენტაციის წარმოებას, რაც საჭიროა, ხრეთის საზოგადოებრივ ცენტრში გავამზადებთ. ამბობენ, რომ ამ ცენტრში ზედმიწევნით კვალიფიციურად ემსახურებიან მომხმარებელს. მალე მექნება პასუხი იმ საგრანტო პროექტზე, რომელიც ჩემი ბიზნესისათვის დაიწერა და თუ დადებითი პასუხი მექნება დონორისგან, სწორედ ხრეთის საზოგადოებრივ ცენტრთან მომიწევს ურთიერთობა.“

ავთანდილ შევილაძე (ვიწროფერმერული მეურნეობის მფლობელი): „საზოგადოებრივი ცენტრი ჩვენს სოფელს ძალიან გამოადგა. აქ თანდათან, ყოველდღიურად იმატებს მომხმარებლების რაოდენობა. მოსახლეობამ გაიგო, რომ ყველა იმ მომსახურების მიღება ხრეთის საზოგადოებრივ ცენტრში შეიძლება, რისთვისაც ადრე ხალხი ჭიათურაში მიდიოდა, აქ ძალიან სწრაფად ხდება მომსახურების მიღება და რიგებიც არაა. ცენტრში ახალგაზრდები ინტერნეტსაც იყენებენ და თუ ვინმეს დააინტერესებს, არის ციფრული და მატერიალური ბიბლიოთეკაც. ამ საზოგადოებრივმა ცენტრმა სოფელს სიცოცხლე შემატა. კარგია, რომ ჩვენს სოფელზე გააკეთა იუსტიციის სამინისტრომ არჩევანი. ალბათ საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურების ბევრი სახის შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგრამ საჭიროებიდან გამომდინარე, გავიგებთ და გამოვიყენებთ კიდევ.“

ამჟამად საქართველოს მასშტაბით 33 საზოგადოებრივი ცენტრი ფუნქციონირებს. 2016 წლის ბოლომდე ეს ციფრი 40-მდე გაიზარდება. საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. საზოგადოებრივი ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი: www.centri.gov.ge

როლანდ ხოჯანაშვილი

ლებს ცხოვრებას. ჭიათურამდე 18 კილომეტრიანი გზის გავლა გულისხმობს არა მარტო ფინანსურ ხარჯს, არამედ — დროის



ქართული ღვინის ექსპორტი იზრდება

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-აპრილში საქართველოდან მსოფლიოს 30 ქვეყანაში ექსპორტირებულია 11 581 031 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 45%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 26,9 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 15%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

იანვარ-აპრილის თვეების მონაცემებით, ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი - 5 925 933 ბოთლი; უკრაინა - 1 488 737 ბოთლი; ყაზახეთი - 1 281 100 ბოთლი; ჩინეთი - 779 425 ბოთლი; პოლონეთი - 682 522 ბოთლი.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი - 84% (5 925 933), უკრაინა - 70% (1 488 737), ჩინეთი - 58% (779 425), პოლონეთი - 31% (682 522), ლიტვა - 37% (183 636), ყირგიზეთი - 171% (107 646), გერმანია - 23% (104 950), ბელარუსი - 31% (134 120), დიდი ბრიტანეთი - 72% (50 128) და სხვა.

ამასთან, მსოფლიოს 11 ქვეყანაში ექსპორტირებულია 2 799 700 ბოთლი (0,75 ლ) ბრენდი, რაც 86%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 6, 4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი-მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 43%-ს აღწევს.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდ სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა საანგარიშო პერიოდში 47,4 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. გასული წლის 4 თვის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 33,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა.

ბაღდათში პროფესიული სასწავლებელი ამოქმედდა

ქუთაისის პროფესიული კოლეჯის „იბერია“ ბაღდათის ფილიალის სრული რეაბილიტაცია დასრულდა და იმერეთის რეგიონს ერთ-ერთი ძლიერი პროფესიული სასწავლებლის ახალი კორპუსი შეემატა. სრულიად განახლებული და თანამედროვე აღჭურვილი სასწავლებელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ დაათვალიერა და კოლეჯის წარმომადგენლებს შეხვდა.

ბაღდათში პროფესიული სასწავლებლის ფუნქციონირება წლებში წინ შეწყდა და ამით ამ მხარის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვნად შეიზღუდა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ბაღდათში აღდგა პროფესიული კოლეჯი, რაც შეეხება ინფრასტრუქტურას იგი სრულიად განახლდა, სასწავლო სახელოსნოების მოწყობისა და აღჭურვის პროცესი დღესაც გრძელდება და უკვე ახალი სასწავლო წლისთვის ყველა ობიექტი გაიმართება.

ქუთაისის პროფესიული კოლეჯის „იბერია“ ბაღდათის ფილიალში მსურველები ავტოშემკეთებლის, კალატოზის, დურგლის, მემცენარის, მეფუტკრის, ფერმერის, მკერავის და სხვა რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროფესიებს შეისწავლიან. თანამედროვე სტანდარტების სასწავლო კორპუსის ამოქმედება მნიშვნელოვანია გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით, ბაღდათის ახლომდებარე რაიონებისა და სოფლების მოსახლეობას უკვე აქვს პროფესიული განათლების მიღების საშუალება, ხოლო მოსახლეობის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში ხელს უწყობს რეგიონის ეკონომიკურ გაძლიერებას.

14 მაისს თბილისი ახალი ღვინის ფესტივალზე გვეპატიჟება

ახალი ღვინის ფესტივალის ჩატარებას საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ 7-წლიანი ისტორია აქვს. მისი ორგანიზატორი საქართველოს ღვინის კლუბი, რომლის ხელმძღვანელები მალხაზ ხარბელია და ცნობილი ნატურალური მეღვინე იაგო ბითარიშვილი არიან.

ფესტივალი მიზნად ისახავს ქართული ღვინის პოპულარიზაციას, საქართველოში ღვინის განათლების დონის ამაღლებასა და სამომხმარებლო კულტურის გაზრდას.

ფესტივალის პირველ დღეს, 13 მაისს, საქართველოს ღვინის კლუბი მოაწყობს დახურულ დეგუსტაციას. 2015 წლის დეგუსტაციის თემა „სხვა ჯიშები“ იყო, სადაც წარმოდგენილი იყო იშვიათი ქართული ვაზის ჯიშებიდან დაყვანული ღვინოები.

წლებიდან დეგუსტაციის თემა იქნება „ქვევრის ღვინოები საქართველოს ფარგლებს გარეთ“, რომელზეც ფრანგი, იტალიელი, გერმანელი, ავსტრიელი, სლოვენელი და იაპონელი მეღვინეები წარმოადგენენ ქვევრში დაყვანულ ღვინოებს. დეგუსტაციის მონაწილეები გასინჯავენ ტიერი პუზელას, იოშკო გრანერის, ლორენ ბანგარის, პაოლო ვოლოპიციის, VINO di Ana-სა და ტომოფუმი ფუჯიჩაროს ქვევრის ღვინოებს. დეგუსტაციას გაუძღვებიან ნატურალისტი მეღვინე იაგო ბითარიშვილი და ღვინის



კლუბის პრეზიდენტი მალხაზ ხარბელია. დეგუსტაციის თემის შერჩევა ღვინის კლუბმა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქვევრის მზარდი პოპულარობის გამო გადაწყვიტა. უკანასკნელ წლებში, ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი იუ-

ნესკოს მიერ, ქვევრში ღვინის დაყვანების მეთოდისთვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებამ. წლებიდან დეგუსტაციის მიზანი ღვინის დაყვანის ქართული ტრადიციული მეთოდის ხელშეწყობა და მისი მზარდი საერთაშორისო ცნობადობის ხაზგასმია.

ბოლო 7 წლის მანძილზე ახალი ღვინის ფესტივალმა საერთო ზეიმის და დღესასწაულის სახე მიიღო, სადაც პირველ ნაბიჯებს დგამენ დამწყები მეღვინე-მეღვინეები და რომლის მეშვეობითაც უკვე ძალიან ბევრმა ახალმა მარანმა გაითქვა სახელი. ამას მოწმობს სადეგუსტაციოდ საოჯახო მარნებიდან შემოსული ღვინოების რეკორდული რაოდენობაც.

2016 წელს სულ შემოვიდა 362 ღვინის ნიმუში: კანეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურის, აჭარის მხარეებიდან.

დეგუსტაციის შედეგად 360 ღვინიდან, ფესტივალზე წარდგება კანეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურის, აჭარის 101 მელვინის მიერ დაწერილი 127 ღვინო.

მომზადებულია „ღვინის კლუბის“ ინფორმაციების მიხედვით

დალიე იტალიური ღვინო „კანონაუ“ და 100 წელს იცოცხლებ!

ადოლფინო 102 წლისაა. იგი ყოველდღიურად მიერეკება საბალახოდ თავის ოთხ ცხვარს. ერთ დღესაც, გზაზე შემთხვევით შეხვდა ფოტოგრაფ დანიელა ძედას და კაფე-ბარში დაპატიჟა...

ადოლფინო პუღუ ერთ-ერთია იმ 11 ასწლოვანი სარდინიელიდან, რომლებიც ჩაწერილი არიან „სენეს“ წიგნში (senex - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „უხუცესი“). მასში თავმოყრილია მსცოვანი ადამიანების ფოტოები და საუბარია მათ ცხოვრებაზე, ასაკზე, ჩატარებული კვლევებით მიღებულ შედეგებზე. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ანტონიო არჯოლასის ოჯახზე, რომელიც დიდი ხანია აწარმოებს ღვინოს „კანონაუ“ (Cannonau). „სენეს“ ეწოდება ასევე ბოლო პერიოდში წარმოებულ ამ ჯიშის ღვინოსაც.

ყველაფერი სამი წლის წინ, ქალაქ სასარის უნივერსიტეტის და არჯოლასის ოჯახის ინიციატივით დაიწყო, მსცოვანი მეღვინის, ანტონიო არჯოლასის პატივსაცემად, რომელიც 102 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სარდინიის ფესტივალ კვლევა საქმად საინტერესო აღმოჩნდა.

რატომ გამოირჩევა კუნძული სარდინია ასწლოვანი მაცხოვრებლებით? პროექტ „AKEA“-ს მიხედვით, აღირიცხა 373 მსცოვანი, 22 — ყოველ 100 000 მაცხოვრებელზე. სამი ცხოვრობს ანტონიო არჯოლასის სოფელ სარდინაში (2 700 მაცხოვრებელი).

მკვლევარებმა მუშაობის დასაწყისში გამოკითხეს 3 000-ზე მეტი მოხუცი და გაირკვა, რომ ყველა სვამდა ღვინო კანონაუს ყოველდღიურად და ზომიერად, რა თქმა უნდა. ეს არის პოლიფენოლებით და ბუნებრივი ანტიოქსიდანტებით მდიდარი წითელი ღვინო.

„ანტონიო ბაბუა, — გვიყვება შვი-

ლიშვილი ვალენტინა — ყოველდღიურად სვამდა ერთ ჭიქა „კანონაუს“ ვეგეტერიანულ წვნიანთან ერთად. ბრანდებოდა, თუ ვინმე მოხუცს უწოდებდა. პასუხობდა, — მხოლოდ დიდი ვარ, მეტი არაფერი“.

მისი გარდაცვალების შემდეგ, არჯოლასის მრავალწლოვანი და ერთიანმა ოჯახმა ეს სარდინიელი ღვინო მსოფლიოს გააცნო მეღვინე ჯაკომო ტაკისისთან ერთად. ოჯახს ჩაფიქრებული ჰქონდა ანტონიოს ოცნების ასრულება, ანუ სხვა სარდინიელ უხუცესებთან ერთად, ჯგუფის ჩამოყალიბება — თერთმეტი, როგორც საფეხბურთო გუნდში, რომლის კაპიტანი თავად იქნებოდა.

ასე წარმოიშვა „სენეს“ წიგნის პროექტი.

მკვლევარებმა ამ თერთმეტ უხუცეს ადამიანში ხანგრძლივი ცხოვრების ფორმულა იპოვეს: მოძრაობა, ოპტიმიზმი, სიმშვიდე და ბოლოს, ბუნება — ზღვა და ღვინო.

„სენეს“-ს პროექტმა ასევე შეიძინა 12 000 ბოთლი ახალი „კანონაუს“ ღვინო (ფასი 20 ევრო). დანიელა ძედამ ეს მსცოვანი ადამი-



ანტონიო არჯოლასი - ოჯახური მარნის ფუძემდებელი

ანები ფოტოებზე გამოსახა. ყურნალისტი მანუელა არკამ და მწერალმა მარჩელო ფოსმა კი მათზე მოგვითხრეს. ყველა ისინი ვადაღებული არიან ტყეში ასწლოვან ხეებთან ან სათევზაო ბაღელებთან ხელში, როგორც მათი საცხოვრებელი გარემოა. წიგნში ნაჩვენებია 101 წლის ფილომენა მარონჯუ, მარგალიტებიანი ლურჯი კაბით კითხვის დროს; 102



102 წლის ჯულიო პოდა



103 წლის ჯაკოპა ლეპორი



102 წლის ივინო კორაუ



ვალანტინა არჯოლასი (მარცხენა), ნიკოლოზი ანტონიო და და — ფრანკინა